მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 3 **1883—1897** 15 თებერვალი

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

„მ წ ყ ე მ ს ი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თთვით	3 მან.	12 თთვით	5 მან.
6 —	2 —	6 —	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

მშობლების და აღმზრდელების საყურადღებოდ.

არის ერთნაირი სულიერი სენი, სენი ფარული, სხვებისთვის ძნელად შესამჩნევი და თითქმის შეუგნებელიცა თვით ამ სენით შეპყრობილისათვის. ეს სენი არის ავადმყოფობად გადაქცეული ოცნებობა. ეს ოცნებობა მეტისმეტად მავნებელია. ის ადამიანის ძალთა და ნიჭთა ხრწნის, მათ გაფურჩქვნას, აღყვავებას და გამოჩენას აბრკოლებს; კიდევ მისი საწამლავი სხეულზედაც გადადის და მასში მრავალგვარ ავადმყოფობას ბადებს. ის კაცი, რომელშიაც ეს სენი ფეხს მოიკიდებს, აოცებს მის შემხედავთ თვის უფერულობით, გონების სიჩლუნგით, ცხოველი აზრის უქონლობით, ზნეობრივ შეუძლებელობით დ სიმცონარით.

რაში მდგომარეობს ეს ავადმყოფობისებური ოცნებობა? ეს მოშლილი ოცნებობა ფანტაზიის ისეთი მოქმედებაა, რომელიც გამოცდილებაზე არაა დამყარებული, გონების და ნების ხელმძღვანელობით არ სრულდება და მდგომარეობს უმიზნო და უწესრიგო

ცვლაში სხვადასხვა ერთმანერთთან დაუკავშირებელ სახეთა და წარმოდგენათა. ავადმყოფობისებურად განწყობილ ოცნებობის მოყვარე ადამიანი ხატავს თვის წარმოდგენაში სულ სხვადასხვა გვარ საუცხოვო სურათებს ხშირად მისთვის აუხდენელ ცხოვრებისას: მდგომარეობათა, გარემოებათა, მოქმედებათა, რომლებიც, მისი ფიქრით, მის მომავალში იქნება, ხოლო ნამდვილად კი მისთვის შეუძლებელი არის. მაგ. ის წარმოიდგენს თვისს თავს ხან დიდის სიმდიდრის მფლობელად და მთელის კაცობრიობის კეთილმყოფელად, ხან მშვენიერ და სათნო ქალის მეუღლედ და მცხოვრებად ქვეყნიერ შფოთვისგან მოშორებით სადღაც მომხიბვლელ ადგილზე და კიდევ რად არ დაისახავს ხოლმე იგი თავისს თავს? ის სცენაზე მოთამაშეცაა, მჭევრმეტყველი ორატორიცაა, და სხვ. ამნაირად, ავადმყოფობისებურად განწყობილი ოცნებიანი თხზავს ოცნებათა სამყაროს მრავალ განყოფილებებით, და ის არხეინად და შეუწყვეტელად გადადის ერთ განყოფილებიდამ მეორეში, მეორიდამ-მესამეში და ის უმეტესად ამ წარმოდგენათა სფერაში ცხოვრებს და მოქმედებს.

უნდა გავარჩიოთ ავადმყოფობისებურად განწყობილი ოცნებობა ჩვეულებრივ, ნორმალურ ოცნებობიდგან, რომელიც ყველა ადამიანს ჩვევია. ყველას მოსდგამს ხანდისხან იოცნებოს, წარმოიდგინოს თვისი მომავალი სასურველ უკეთესის მხრით. ეს მოვლენა კაცის ცხოვრებაში ნორმალურია, მაგრამ ამგვარ ოცნებობას საზღვარი აქვს და თუ ის ამ საზღვარს გადვიდა, მაშინ ისე გადიქცევა სენად, მოშლილ ოცნებობად და ხდება ანორმალურ მოვლენად, მავნებელად სულისა და ხორცისა. ვანმასხვავებელი ნიშნები ჩვეულებრივ და სენად გადაქცეულ ოცნებობისა არის შემდეგი. 1) ჩვეულებრივ ოცნებობაში საგანი წარმოდგენათა თითქმის ყოველთვის ერთი და იგივეა. კაცს აქვს შეყვარებული ერთი რომელიმე საგანი, რომელიც მის ძალთა და მიდრეკილებათა შეეფერება, და მისი ფანტაზია ამ საგანზე იჩენს თვისს მოქმედებასა; ის კიდევ სხვა საგნებს ხატავს, მაგრამ ამათ მაინც აქვთ კავშირი ოცნებათა უმთავრეს და მუდმივ საგანთან, ესენი მას შეავსებენ და ნათელ ჰყოფენ. მაგ. გიმნაზიელი, სავსე სიცოცხლით და ძალით, წარმოიდგენს, თუ გიმნაზიის კურსის შესრულების შემდეგ იგი როგორ შევა უნივერსიტეტში საექიმო ნაწილზე, თუ როგორ გაითქვამს სახელს ექიმობით, დაიმსახურებს საყოველთაო ყურადღებას და სიყვარულს და სხვ. ამ სახით უპირველესი და მუდმივი საგანი მის ოცნებათა არის ექიმობა და ექიმობა. მას შეუძლია კიდევ წარმოიდგინოს, თუ იგი გარდა ექიმობისა თვისს მოძმეებს რა სარგებლობას მოუტანს თავის ქველმოქმედებითა, თხზულებების შედგენითა და სხვა; მაგრამ ეს წარმოდგენანი მის ოცნებობის ჩვეულებრივ მუდმივ საგანზე მანდამაინც დაშორებულნი არ არიან. სენად გადაქცეულ ოცნებობაში კი ფანტაზიის სახეთა საგნები მრავალია და ყველანი გასაოცრად სხვა და სხვანი და ერთ-მეორესთან შეუთანხმებელნი არიან. აღვარ ახსნილი გაცხელებული ოცნებობა მოქმედებს ყოველნაირ საგანზე, რომელსაც კი შემთხვევა უთითებს, და რომელიც სუბიექტის თვისებათა სრულიად არ შეესაბამება. ასე, დაინახავს თუ არა ოცნებიანი ადამიანი ღენერალს, ის მაშინათვე დაისახავს თავის თავს ღენერლად, მთელი ჯარის მბრძანებლად, თუმცა მას სრულიად არ შესწევს საჭირო ძალ-ღონე ღენერლის ხარისხის მოპოებისთვის, შეხედავს თუ არა მასწავლებელს, ის წარმოიდგენს თვისს თავს მასწავლებლის კათედრაზე მჯდომარედ და პროფესორისაზედაც, თუმცა იგი თვის ჭკუანაკლებობისაგამო საშუალ სასწავლებლის უკანასკნელ კლასებამდისაც ვერ მიაღწევს, დაინახავს თუ არა თავადს, ის ხდება სოფელში უშფოთველად მცხოვრებ ბატონად, დიდის ადგილმამულის პატრონად; შეხვდება თუ არა გამოჩენილ მომღერალს, ის იწყებს ოპერის გამართვას. 2) რადგან ნორმალურ ოცნებობაში ფანტაზიის სახენი სუბიექტის სულიერ თვისებათა ეთანხმებიან, ამიტომ ისინი ადვილად განსახორციელებელნი არიან, ცოტათი

მაინც. ჯანმრთელი და ნიჭიერი გიმნაზიელი, ექიმობაზე მეოცნებე, ადვილად შეიქნება ექიმი. მხურვალე ავადმყოფობისებურად განწყობილ ფანტაზიის სახენი კი, როგორც შეუფერებელნი სუბიექტის თვისებათა, არასოდეს არ მოვლენ არსებად ცოტათითაც. მოკლე ჭკუის ადამიანი აუდიტორიაში ლექციების კითხვას ვერასოდეს ვერ მოესწრება, რაც უნდა მან ძლიერად იოცნებოს ამაზე. 3) საღი ადამიანი ხანდისხან მიეცემა ტკბილ ოცნებათა და ისეც ცოტახნობით. ის მალე გამოფხიზლდება, გამოირკვევა ოცნებობისგან და ხელახლავ იწყებს ნამდვილ ცხოვრებით ცხოვრებასა. ავადმყოფობისებურად განწყობილი ოცნებიანი კი მუდამ, ყოველ დღე და ღამე, ყოველ საათში, დადის, თუ ზის, თუ წევს, ცხადლივ და ძილშიც სტკბება თვის გაშმაგებულ ოცნებობის ნაწარმოებით. ის მუდამ თვის განცალკევებულ მომხიბვლელ სამყაროში, მისგანვე შექმნილში, ტრიალებს, და სინამდვილის სფერაში მხოლოდ ხანდისხან შევარდება, და ისეც მოკლე დროით, 4) ნორმალური ოცნებობა რამოდენიმედ კეთილ-მყოფელია. ის ქვეყნიურ შრომით და ტანჯვით მოუძლურებულ და დაქანცულ სულში აღძრავს ნათლოვან და მხიარულ გრძნობებს, შთანერგავს მასში სიმხნეს და სითამამეს და განაახლებს მას. მოშლილ ოცნებობიდგან კი, რადგან ფანტაზია ფრიად ძლიერად, ხშირად და ხანგრძლივ მოქმედებს, სული მეტის-მეტად სუსტდება, იხრწნება, და სუბიექტები საამო გრძნობათა მოპოების ნაცვლად არეულ გუნებაზე დგებიან. 5) ავადმყოფობად გადაქცეულ ოცნებობაში ადამიანი თვისს ნამდვილ, აწმყოის მდგომარეობას ივიწყებს. მას გონია, ვითომც ის მოქმედებანი, რომლებსაც მისი ფანტაზია თხზავს, მართლაც ხდება მის თვალ წინ იმ წუთებშივე, და თვითონ ის სწორედ იმნაირია, როგორათაც ოცნებობაში ის ისახება. მაგ. როცა სუბიექტი წარმოიდგენს, თუ როგორ მოემზადება იგი როგორც ორატორი, სიტყვის სათქმელად, ის ოცნებობს ამგვარად. აი ის კათედრაზე დინჯად და წყნარად ადის; მისს სახეს ბრძნული გამომეტყველება აქვს მიღებული; გაჩერდა, ქვევით იხედება; თავი აწია, ზევითკენ აიხედა, ჩაახველა, კიდევ ხრის თავს; მერმე გასწორდება, თვისს ღრმა ფიქრებით სავსე თვალებს მსმენელთ გადაავლებს, და ბოლოს გაისმის მისი ძლიერი ხმა. სულ განაბული მსმენელები ფრთხილად არიან, რომ მის ნალაპარაკევიდან რაიმე არ გამოეპაროსთ, ხალხი აღტაცებაში მოდის, და გაისმის დაუცხრომელი ტაშის ცემა და ვაშა-ვაშას ძახილი. ამასთანავე, ის ოთახი, რომელშიდაც ჩვენი ოცნებიანი სდგას, წარმოადგენს ხალხით გაჭედილ დიდ დარბაზს; ის კუთხე, სადაც იგი სდგას, წარმოადგენს კათედრას, ოთახის მორთულობა კი მსმენელთ. სასაცილო სანახავია ჩვენი ოცნებიანი, როცა იგი ოთახის კუთხეში დგება, როცა ანძრეეს თავის მთელ ტანს, შლის ხელებს და წარმოისვრის უშინაარსო, გადაუბმელ ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს, რაიცა მას მჭევრმეტყველებად ეჩვენება ხოლმე. ჩვეულებრივ ოცნებობაში კი სუბიექტი სჭვრეტს და სიამოვნებს ფანტაზიის სახეებით მხოლოდ გონებით, წარმოდგენაში; მას არ ჰგონია, რომ ის, რასაც მისი ოცნებობა ხატავს, ნამდვილად ხდება ამ წამშივე; ის თვისს ნამდვილ მდგომარეობას არ ივიწყებს. 6) ჩვეულებრივ ოცნებობაში წარმოდგენანი თუმცა ცოცხალნი არიან, მაგრამ სუბიექტს მაინც არ ამძიმებენ, არ ართმევენ მას თვითმფლობელობას, თავდაჭერას. ის თვის ოცნებათა სამყაროში სრული უფალი და გამგეა· მას აქვს იდეალები, იცის ჭეშმარიტების, კეთილის და მშვენიერების კანონები და მათდა მიხედვით და გონების და ნების ხელმძღვანელობით შექმნის „სხვათა სახეთა არსებობას“ (ლერმონტ.) ამ მშვენიერ სამყაროში, ის არ უშვებს შემთხვევით და ნების დაუკითხავად აღძრულ წარმოდგენათა. ამისთვის, მის ოცნებათა სამყაროში ყველაფერი წესიერად ჰარმონიულად და კეთილ განმსჯელობითაა. სენად გადაქცეულ ოცნებობაში კი მოშლილ ფანტაზიის სახენი იმნაირად გაცეცხლებულნი არიან, რო სუბიექტს ატყვევებენ, შექმნიან

მას თვის მონად. ის თვითმფლობელობას სრულიად კარგავს, და მისი ყურადღება მისდა უნებურად თან ყვება ყოველივე კავშირს მოკლებულ და ურიგო წარმოდგენათა გროვას; წარმოდგენანი, მისდაუკითხავად, შეიჭრებიან მის გონებაში, ეხვევიან მას და ძალით იმორჩილებენ მას. განმაწესიერებელ ძალის არამყოფობისაგამო წარმოდგენათა სფერაში კეთილგონიერება და ჰარმონია არ სუფევს. 7) ნორმალურ ოცნებობაში წარმოდგენანი ერთი-მეორეს თან მოსდევენ, ცოტად-თუ-ბევრად, ნელა, აუჩქარებლივ და მეოცნებე ასწრებს მათ გამოხატვას სიტყვებითა, და ამისთანა ოცნებაში სუბიექტი მაინცდა-მაინც არ იღლება, არ სუსტდება, რადგან სისხლი ტვინისკენ აჩქარებით არ მიმდინარეობს. ვიცით, რო აზროვნების დროს სისხლი ტვინისკენ ნამეტნავად იკრიბება; და ისიც ვიცით, რო თუ სისხლი კაცს თავში ძლიერ მოაწვა, მაშინ ტვინს დიდი ვნება ეძლევა. მოშლილ ოცნებობაში კი წარმოდგენანი ერთი-მეორეს ისეთის სისწრაფით თანყვებიან, რო სუბიექტი ვერ ასწრებს იმათ სიტყვებით გამოხატვას, და ჰაზრების ჩქარის დენისა გამო სისხლის თავში ავარდნა ძალიან მატულობს და ხშირდება, რის გამო სუბიექტის ნერვების სისტემა მეტის-მეტად იღლება.

ე. კაჭახიძე.

დასასრული შემდეგში.

წლის თავზე მოსსენება განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა.

26 იანვარს გელათის მონასტერში, სადაც დაკრძალული არის განსვენებული ეოვლად სამღვდელოს გაბრიელის გვამი, კარგა ძალი ხალხი შეიკრიბა არა მიმხედველი იმისა, რომ ძლიერ ცუდი ამიდი იყო. წირვა შეასრულა ეოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსმა ბესარიონმა მონასტრის კრებულის თანაშწირველობით. წირვის გათავების შემდეგ გარდახდილ იქმნა ჰანაშვიდი განსვენებული მღვდელ-მთავრის სულის მოსახსენებლად. წირვაზე და ჰანაშვიდზე დაესწრენ გუბერნიის მარშალი კამერგერი თ. ს. წერეთელი, ქუთაისის ქალაქის თავი და სხვა საზოგადოების წარმომადგენელნი. ჰანაშვიდის წინ სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა გ. ცაგარეიშვილმა. წირვაზე და ჰანაშვიდზე დაესწრო ჩვენი ჰოეტი აკაკი წერეთელი, რომელმაც შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის მღვდელ-მთავრის საფლავზე:

«უძლურებამ და არა გზის სიშორემ, შეიშალა ხელი, რომ შარშან ამ დროს, მეც სხვებთან ერთად თაყვანი მეცა დიდებულ ცხედრისათვის!. დღეს მძიმე ტვირთი ეშვება ჩემს გულს, რომ შევძელ ნაკლის შევსება და ვასრულებ მოვალეობას როგორც საზოგადოს ისე პირადსაც!.. მოველ და თაყვანსა ვსცემ მას ჯერ კიდევ გაუხრწნელ გვამს!.. იმ გვამს, რომელიც ხალხის წარმოდგენით არც არაოდეს უნდა გაიხრწნას! თუმცა თვით დიდებული. მოძღვარი კი იმას გვაუწყებდა, რომ ეს სოფელი სიზმარია!. ამ ქვეყნიური ეოველივე წარმავალი და სიკვდილთან ერთად ეოველივე ხორციელი ქრებაო!.. ეს საზოგადო ჭეშმარიტება არ შეეხება კერძოთ მაღლით ცხებულთა, და უპირველესად თვით მასვე, რომელმაც სიკვდილით სიცოცხლე გაიორკეცა!. სიცოცხლე მისი სიხარული იყო ქვეყნისათვის და სიკვდილი სიქადულად გადაიქცა.—როგორც მნათობი, რაც უფრო დიდ-სიმაღლეზეა, უფრო

თვალ-საჩინოა ყველასათვის და უფრო შორსაც აწვდენს სხივებს, ისე ეს დაუვიწყარი მომღვარიც, დღეს სიკვდილით ამაღლებული, ყველასათვის საერთოდ სათვალდათვალოა და ყოველი მხრით თანასწორად ფენს სხივებს, რომლითაც გვინათებს ბნელს აწმყოში და იმავე დროს ჩვენს წარსულს მომავალთან აკავშირებს!.. კურთხეულ იყავ უკუნისამდე, დაუვიწყარო მღვდელ-მთავარო! გადმოგვსახე მადლით ჯვარი და სამკურნალოდ მოგვფინე ნათელი.. და ჩვენგანაც მღვნად შეიწირე, ვითარცა წვლილი ქრივისა, გულ-წრფელი თაყვანი და მხურვალე ანბორება!. გვაკურთხენ, მეუფეო»!.

პანაშვიდის შესრულების შემდეგ საუზმეზე იყვნენ მიწვეულნი როგორც მღვდელ-მთავარი ისე საზოგადოების წარმომადგენელნი პირნი მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტის სერაფიონისაგან. სამ საათზე ყველანი დაბრუნდენ ქუთაისში.

26 იანვარს დასავლეთ საქართველოს ქალაქების და სოფლების ყველა ეკკლესიებში შესრულებული იქმნა წირვა და ნაწირვებს პანაშვიდი. ჩვენ მრავალ ალაგებიდან მოგვივიდა ცნობები, რომ ამ დღეს წირვაზე მოუხსენებიათ განსვენებული მღვდელ-მთავარი და პანაშვიდი გარდაუხდიათ. ჩვენ გვიგზავნიან სიტყვებს, რომელიც მრავალ ადგილას წარმოუთქვამსთ პანაშვიდის გარდახდის დროს, მაგრამ ადგილის უმქონებლობისა გამო ამ სიტყვებს ვერ ვბეჭდავთ.

სასიამოვნო ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უკანასკნელ დროს დიდი ყურადღებაა მიქცეული ბაღოსნობაზე არა მარტო კერძო პირთაგან, არამედ უმაღლესი მართებლობისა და მთელი საზოგადოებისაგან. უწმიდესი და უმართებულესი სინოდი იძლევა წინადადებას, რომ სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეებს, შეძლებისა დაგვარად, შეასწავლონ ბაღოსნობა და საზოგადოთ მეურნეობა. ვგონებ, წავიდა ის დრო, როდესაც ჰფიქრობდენ, რომ მეურნეობა და საზოგადოთ ბაღში მუშაობა კაცის ღირსებას ამდაბლებსო. ყველამ შეიგნო, რომ კაცი შრომისათვის არის დაბადებული და მიწის მუშაობა ფრიად სასარგებლოა, როგორც კაცის ტანმრთელობისა ისე მისი ნივთიერი მდგომარეობისათვის.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქუთაისის ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ბ. ალექსანდრე ა. იაროსლავს განუზრახავს სასწავლებლის ეზოში გამართოს ბაღი და პრაქტიკულათ შეასწავლოს მოსწავლეთა ბაღოსნობა. ამასთან მასვე განუზრახავს ამერიკანული ვაზის მოშენება—დამყნა შეასწავლოს მოსწავლეებს. ჭეშმარიტად შვენიერი საქმე განუზრახავს სასწავლებლის უფროს და სამღვდელოება დიდი მადლიერი დარჩება ამისთანა საქები საქმისათვის. მოსწავლეებს ყოველთვის ექნებათ დრო, რომ თითო-ოროლა საათი ამ კეთილს და სასარგებლო საქმეს შესწირონ. ბაღში მუშაობა თავის უფროსის ზედამხედველობით მეტად დაახლოვებს მოსწავლეს მასთან და ამისთანა დაახლოვებას ყოველთვის კარგი შედეგი მოჰყვება...

იმედი არის, რომ ამისთანა კეთილი საქმის დაწყებაში დიდ მონაწილეობას მიიღებს ბ. ჩიხლაძე, ამ სასწავლებლის მასწავლებელი, რომელმაც მეფუტკრეობის შესწავლით და ამერიკული ვაზის მოშენებით ბევრს გაუღვიძა მევენახობის და მეფუტკრეობის სურვილი შორაპნის მაზრაში.

სოფლის ცხოვრებიდან.

(იხ. „მწყემსი“ № 15—16, 1896 წ.)

გარდა სამღვდელოების დაუღალავი, უანგარო და ენერგიული მოღვაწეობისა ხალხის ზნეობის ამამაღლებელი, გამაფაქიზებელი, დიდ სულოვნების, ჭირთათმენის საღსარი სოფლის სკოლები და მასწავლებლებია. პირველზე კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ ამათ, ვინაიდგან ნორჩ, ჯერ კიდევ დაუმახინჯებელ თაობასთან აქვთ საქმე. სიღარიბის გამოა თუ შეუგნებლობისა სოფლელი თავის შვილს ვერ გააცილებს სოფლის სკოლას, მაშასადამე ეს არის ერთად ერთი წყარო სინათლისა, ნაბერწკლის შემტანი ბურუსით მოცულ სოფლელთა ზნეობა-გონებაში. ამით უნდა დაკმაყოფილდეს პატარა გლეხი, იმით უნდა იხელმწღვანელოს მომავალ ცხოვრებაში, რასაც აქ შეიძენს. იმაზედაა დამოკიდებული მისი მომავალი ბედნიერება, სიავკარგე, რა იარაღსაც აქ მიიღებს. ესეც საკმარისია წარმოვიდგინოთ, თუ რა დიდი განძია სოფლისთვის სასოფლო სკოლა და მასში მასწავლებლობა.

იმ მეტოდით, რომელსაც დღეს ჩვენი სკოლები მისდევენ, მოუხერხებელია კითხვის გემოვნების აღძვრა ყმაწვილებში. ორი წილი ჩვენი სკოლებისა დღეს ბუნებითი მეტოდს მისდევს. ამიტომაა, რომ ბავშმა ზეპირად იცის სტატია, მაგრამ მისი ჰაზრი რომ კითხოთ, ვერ გეტყვის. ერთი რომ დაბალი წოდების ბავშები ნაკლებად გადადიან სოფლის სკოლებიდან დაბალ სასწავლებლებში არა უმეტეს სამი პროცენტისა, მეორედ ისინიც მეორე განყოფილებაში ძლივს იჭერენ ეგზამენს, მაშინ როდესაც წესით პირველ კლასში უნდა მოხვდენ.

რა გავლენა აქვს ამ გვარი გზით სწავლებას ზნეობრივ აღზრდაზე? რასაც სწავლობს ბავში, ის უთუოდ მის შინაგან არსებაზე, გრძნობებზე, სულსა და გულზე უნდა მოქმედებდეს. არც ერთ საგნის სწავლებას არ შეუძლია ყმაწვილის ზნეობაზე კვალი დააჩინოს, აღიბეჭდოს, უკეთუ ყმაწვილს არ აქვს შეგნებული, შეთვისებული და ნაგრძნობი მისი შინაარსი სავსებით. მეტადრე ეს ითქმის სამღრთო წერილის სწავლებაზე. ამ საგნის სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის. რომ ყური უგდოთ მდაბიო ხალხის შინაურულ და გარეშე ცხოვრებას, მაშინ მაინც ნათლად დარწმუნდებით, რომ ის არის, ცოტად თუ ბევრად, პატიოსანი, სანდო, გულკეთილი, მოსიყვარულე, მეზობლის გამტანი, მართალი, ვისაც გულში ღვთის შიში და სიყვარული აქვს დამარხული, ღვთის ვედრება და ეკკლესიაში სვლა უყვარს. პირ იქით სარწმუნოება ჩამქრალი, გულ გრილი, ღვთის უშიშარი კაცის მოქმედება, ყოფაქცევა საზიზღარია. მაგრამ ამ საგანს რომ ასეთი აღმაშენებელი მნიშვნელობა ჰქონდეს მომავალ ცხოვრებაში, ყმაწვილი უნდა მიხვდეს მის ჰაზრს, მნიშვნელობას. ისე უნდა ითვისებდეს და სწავლობდეს თითქოს ეს მისი საკუთარი სიტყვებია მისი ნაგრძნობის გამოხატვაო. უამისოდ კი რაც უნდა ბევრი დაისწავლოს, მისთვის გამოუსადეგარია.

მასწავლებელი თვითონ უნდა იყვეს თვისი ცხოვრებით წარმომადგენელი ღვთის მორწმუნეობისა, სიყვარულისა, სამღვთო მცნებების, ეკკლესიურ ჩვეულებათა ასრულებისა. ბევრს ვერ ვხედავთ ისეთებს, რომელთაც კვირა-უქმე დღეობით ეკკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიაში დაჰყავდეს ბავშვები, თვითონაც თან დაჰყვებოდეს და მაგალითს აძლევდეს ღვთის ვედრებისას, ბავშობიდანვე აჩვევდეს ღვთის მსახურებას...

არიან ჩვენში მართლა ზოგი მხნე და შეგნებული მასწავლებლები, მაგრამ როგორ ეპყრობიან ამათ სხვები, რა მხარს აძლევენ, რა დამოკიდებულება აქვსთ მათთან, ამაზედ შემდეგ მოგახსენებთ.

მღვ. დ. ჩხაიძე.

საქართველოჲს

მველი დროჲს თავგადასავალი,

(**საისტორიო მასალა**).

გაგრძელება *)

წარვიდა სპათა სპასპეტი უკან ჰყვებიან გმირები,
სადაც მივიდნენ, ვინ ჰკადრა, ვერ ვინ აჩვენა ჭირები,
ცოტად ზაგნელთა ბრძოლა ჰყვეს, დახადა ვითა სირები,
მძლეველნი გიორგიელნი მათ ექმნენ შენამჭირვები.

ალიღო ზაგნელთ ციხენი ვითა შიგ ღორნი ჰყიოდეს,
ზედ მისეულნი ქართველნი ლომისა ხმასა ჰკიოდეს,
მოლა ახუნდნი საწყალნი მეჩითთ შემუსვრას სტიროდეს,
აოხრებად თვისთა ცოლშვილთა საწყლად საზრალოდ ჩიოდეს.

მუნით წარვიდა, თავ რიზი ჰყო დიდად შენაძრწუნები,
ეგრეთვე ყაზმინს მიმართა, მათცა შეუგდო ჭირები,
მუნ ყოველნი ტყვე ჰყვნა, აღოხრა, ჰყო ურთიერთის მტირები,
ალაფი მათი ვერცხლ-ოქრო ქართველთ ხელს იგდეს მკმარებით.

აიარეს ყაზმინისა საზღვარი და მთა-გორები,
მიახლოვდენ ხორასანსა, გზა შემოკლდა გძელ შარები,
უჭირველად წაიარეს მინდორ შუვა და შარები,
ხორასნელთა მცნობთა ამბის აყრა სწადდათ მათ ჩქარები.

ვერღა იმალნენ ვერასად, ეცნენ მყის ქართველთ ჯარია,
ხორასნის ქალაქს მოერტყენ, შეკრეს მრევლივ მათი მზღვარია,
თარეში შექმნეს ოთხ კიდეს, მოოხრეს მთა და ბარია,
აიკლეს სრულად ქალაქი, შიგ მდგომთ სიცოცხლე მწარეა,

არ დარჩა კაცი ქართველი არცა მზიდავი ბარგისა,
რომ არ აღივსო თვალ ოქრო არს მშოველ მრავალ ხარგისა,
მარგალიტს სარდალს სძღნობდიან, ვის შოვნა ჰქონდა კარგისა,
ალაფთ სიმრავლეს ვერ აღწერ შოვნად შალატლას ფრანგისა.

დაჰყო მუნ სპათას პასპეტმან ზაქარიამან ხმობილმან,
ხანი და კვირა ერთი თვე სიმხნითა ამაღლებულმან,
მუნით გაქცეულთ თათართა ლახვრითა გულით სვებულმან,
მოართვეს ძღვენი, გვიბრალე მზემან სხივითა ქებულმან.

წარმოემართა მხარ მგრძელი უნჯითა მრავალ ფერით,

*) იხ. „მწყემსი“ № 1—2 1896 წ.

სადაც მოვიდის ყოველთა სძღვნის ძღვენი შესხმა ქებითა,
ემძიმებოდათ ალაფი ესდენ ხარკისა კრეფითა,
ვლიდიან ნელა მშვიდობით პირველ ნავალის გზებითა.
მოვლეს ქართველთ ყოვლი სპარსთა ქვეყანა და კიდის კიდე,
ქართველთ მეფის თამრისა ისმას ხმანი კიდის კიდე,
მფარველობა მეფეს ღვთისა ადგას ჩრდილი კიდის კიდე,
მტერთ თამარის რისხვა ზენით ევლინება კიდის კიდე.
მოვიდა გმირი სარდალი, თბილის შეიქმნა დღეობა,
თან მოჰყვნენ გიორგიელნი ღვთისგან აქვთ გმირთა მხნეობა,
მეფესა თამარს სალამი ჰკადრეს, ვით იყო ზნეობა,
ვაჩვენეთ მტერთა რისხვანი შენი ვიფიცეთ მზეობა.
ნახეთ, თამარი ვით იქმნა ღვთისაგან განდიდებულად,
ეგრეთვე საქმენი მისნი იმართვის განშვენებულად,
ოთხსავე კიდეს ქვეყანას თამარს ჰხადიან ქებულად,
მისი მებრძოლი ყოველი ღმერთმან ჰყო ლახვარ სვებულად.
თამარ ამ საქმის მნახველი არს ეკლესიათ მკობელი,
ღვთის მშობლის მარად მხსოვნელი, ხატთ ტურფად შემამკობელი,
ჰყო ღმერთმან სპარსთა მფლობელი, მათზედ მახვილით მსობელი,
ობოლთა გლახაკთ ქვრივთ მზდელი, ქაროველთ უწოდეს მშობელი.
მეფემან სპათა სპასპეტსა აღუთქვა დიდი წყალობა,
შენის გარჯისა მუქაფა მე მმართებს გადახდილობა,
ანდერძს დავაგდებ, სწყალობდეს შენს გვარსა ჩემი წილობა,
ვითა ხარ, იყავ პირველ კაც, რადგან გაქვს გამოცდილება.
მან მადლი ჰკადრა მეფესა, მეფეთა ზედა მფლობელსა,
მონა უკადრი არ ვღირსვარ, კხადი მზრდელ ტკბილსა მშობელსა,
მაგა სიტყვისა, წყალობას მე თქვენსა შემამკობელსა,
თაყვანს სცემს, ხელსა აკოცებს მეფეს საუბრით მხმობელსა.
მერე მიართო სპასპეტმან ხორასანს ალაფებული,
ტყვე, თვალ მარგალიტ ვერცხლ-ოქრო, მეფე ზის ტახტსა შვებული,
ესოდენ ალაფთ მნახველი თამარ ხმობს განკვირებული,
არ მინახავსო არ ოდეს, სხვანიც არნ განცვიფრებული.
მერე მეფემან ქართველთა ჯართა უბრძანა მადლობა,
განაღო თვისი სალარო, სპათა სცა დიდი წყალობა,
აწ წადით შინა ილხინეთ, გქონდეთო ომის კმაროობა,
არღა ვინ ჩანსო მებრძოლი, მაქვსო ღვთისაგან დაროობა.
შემდგომ სპასპეტი ქებული ვინ მტერთა ექმნის მძლეველად,
მყის ზაქარია ხმობილი სოფელი ექმნა მკვლეველად,
მისცვალა აქით განვიდა, იმ სოფელს ძისა წვეველად,
მეფე მწუხარობს ტირის მღვდელნი არნ საკლმის მკმეველად.
მეფემან მის წილ ამისად სპასალრად დაადგინა და,
მისივ ძმა გმისი ივანე, ვინ მტერი ყოვლთვინ გმირა და,
მანცა საითაც მიმართა ყოველნი შეაჭირვა და,
მიცვალებულსა მეფემან მრავალი უქმნა წირვა და.
გამოგდა ხანი და ჟამი, არც წელი დია მრავალი,
მეფე თფილისით შეიქმნა ნაჭარმაგევსა მავალი,
მუნ იშვებს, ლხინობს ღმერთს მადლობს, არვინ ჰყავს მტერი მძალავი
მაგრამ სოფელი მუხთალი არს ყოვლთვის კაცთა მლალავი.
მუნ დასნეულდა თამარ და მეფეთ მეფობით მფლობელი,
ბევრნი შეჰყარნეს მკურნალნი ბრძენნი და მეფის მკობელნი,
ვერ ჰკურნეს ვერას ღონითა, ვერც უკეთ შექმნეს მყრობელი,
თქვეს ეჭიმთ ჰავა უცვალოთ ტფილის შეიქმნეთ მსწრობელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

დოქტორის ს. ბ. თოფურიას საავათმყოფომ თავის ხარჯით გაგზავნა დოქტორი ია. კ. ვარშავსკი პეტერბურღს ეკსპერიმენტალური საექიმო ინსტიტუტში ადგილობრივ შესასწავლად ახლად გამოგონებული ჟამის წინააღმდეგ სითხის აცრისა, რომელიც გამოიკვლია დოქტორმა გერსენმა. ვარშავსკი გაემგზავრა იანვრის თვეში და ქუთაისში მოელიან ამ თვის დამლევს.

***

რექტორი ქუთაისის სემინარიისა მამა არქიმანდრიტი დიმიტრი გარდაუვანილ იქმნა ნოვგოროდის სემინარიის რექტორად და მის ადგილზე რექტორად დანიშნულ იქმნა ინსპეკტორი ამა სემინარიისა მღვდელ-მონაზონი ბენიამენი, რომელიც არქიმანდრიტის ხარისხზე უნდა იქმნეს აღუვანილი.

***

მამა ალექსანდრე ზედგინიძე სოფელს მეღვრეკიდან (გორის მაზრაშია) ჩვენ გვწერს შემდეგს:

„ჩვენ შემთხვევა გვქონდა დავსწრებოდით ახლად დაარსებულის საეკლესიო-სამრევლო სკოლის კურთხევასა სოფელს მეღვრეკში (გორის მაზრა), რომელიც გაიხსნა თაოსნობითა და მეცადინეობითა ადგილობრივის მღვდლის მამა სამსონ კენჭაძისა ამავე თვის 27-სა. ამ დღეს ადგილობრივი მღვდლის კენჭაძისაგან იყვნენ მოწვეულნი ადგილობრივი ბლაღოჩინი მღ. მ. კაპანაძე და სხვა მრავალნი საპატიო პირნი და ადგილობრივი მკვიდრნი თავიანთი ყმაწვილებითა, რომელთა რიცხვი ოცამდისინ იყო ქალი და ვაჟი. შემდეგ პარაკლისისა მღვდელმან სამსონ კენჭაძემ წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა, რომლითაც მიმართა მშობელთა, მიულოცა სკოლის გახსნა და განუმარტა მნიშვნელობა და სარგებლობა, როგორც ახლად დაარსებულის სკოლის აგრეთვე სწავლისა და მისის ნაყოფისა. ბლაღოჩინმაც მისცა შესაფერი მოკლე სიტყვით დარიგება შეკრებილ ცქრიალა ყმაწვილებსა. შემდეგ მრავალ ჟამიერისა და სკოლის შენობის, სხურებისა ხალხი ფრიად კმაყოფილი დაიშალა. როგორც გვიამბეს და დავრწმუნდით, მამა სამსონ კენჭაძეს აღუთქვამს თვის მიერ გახსნილის სამრევლო-საეკლესიო სკოლისათვის ვიდრემდისინ იგი იარსებებს, ყოველ წლივ ოცდა თუთხმეტი მანეთის ფულად შეწირვა; სამი წლობით დაუთმია თავისი საკუთარი ქვითკირის შენობის მეორე სართულში ერთი ფართო ოთახი რიგზედ მოწყობილი და აგრეთვე რაც სკოლას მოუნდება შეშა; მასვე შეუწირავს თავისი საკუთარი სარწყავი მიწა საბალეთ. სკოლაში სწავლა დაიწყო მეორე დღიდგანვე და მოსწავლეთა რიცხვმაც იმატა. 24-მ მოიყარა თავი. სწავლით თვით მღვდელი ასწავლის, ვიდრემდისინ მასწავლებელი დაინიშნება. სწორეთ დიდი მადლობის ღირსია მამა სამსონ კენჭაძე და ღმერთსა ვსთხოვთ მრავალ სხვათაც წაებაძნოთ ამისთანა კეთილ საქმისათვის.

***

როგორც გაზეთი „ივერია“ გვატყობინებს, მთავრობის განკარგულებით ექიმი ლუნკევიჩი იგზავნება თავრიზსს შავი ჭირის შემოტანის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად.

***

ართვინის ოლქში, შავშეთის და სხვა ნაწილებშიაც, სადაც-კი დღეს თითო ოროლა ქრისტიანები ცხოვრობენ, დიდს საჭიროებას შეადგენს ქრისტიანთა ეკლესიების დაარსება, მაგალითებრ: შარშან, შავშეთში გარდაიცვალა ტუის მოხელე გურული, მიცვალებულის გვამი დიდხანს უოფილა დაუმარხავი, მერე ქართველ თათრებს საღაც ერთი სომხის მღვდელი უპოვნიათ და იმისთვის დაუვალებიათ ქრისტიანულად დასაფლავება. ასეთი მაგალითები თურმე აჭარაშიაც ხშირად მოხდება ხოლმე. ამ რამდენისამე წლის განმავლობაში ძალიან ხშირათ მომხდარა, რომ ქრისტიანთა მიცვალებული თათრებს დაუსაფლავებიათ. ამ საქმის ყურადღების მიქცევას ვისიც ჯერ არს, მრავალნი ქართველნი ითხოვენ სასოებით. თუ ეს მართალია, ძნელი არ იქნება ჩვენი სამღვდელოებისათვის ტბეთის ტაძრის აღდგენა და იქ ერთის მწირ-ბერის დანიშვნა. თვით ეკლესია შეინახამს ამ მღვდელს თავისის ხარჯით. (ივერია)

***

სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი სხვადასხვა ღონისძიებას ჭსინჯავს იმის შესახებ, რომ შავის ზღვის პირა გუბერნიის მართლ-მადიდებელი სამღვდელოება უზრუნველ ყოფილ იქმნას მამულების მხრივ და რომ საზოგადოდ ეკონომიურად გაუმჯობესდეს მისი მდგომარეობა. ამასთან იგივე დეპარტამენტი სცდილობს ღონისძიება რამ მოიშოვოს, რომ, როგორც შავის ზღვის პირი გუბერნიაში, ისე სხვაგანაც საზოგადოდ კავკასიაში სახელმწიფო მამულები კერძო კაცებმა არ დაისაკუთრონ.

* * *

საქართველოს ექსარხოსმა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ვლადიმირმა, 26 იანვარს, თავისს კარის ეკლესიაში გარდაიხადა წლის წირვა და პანაშვიდი, ნეტარ ხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად.

* * *

«ივერიაში» ვკუთხულობთ: 20 თებერვალს ტფილისის კლუბის დარბაზში გაიმართება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. გურამიშვილისა, კნ. ამირეჯიბისა, ბ-ნ სარაჯიშვილი, ლოდი, ყარაშვილი, აკაკი წერეთელი, ველიჩკო, და სხვანი. კონცერტის შემდეგ ცეკვა გაიმართება.

* * *

ჩვენ შევიტყეთ ნამდვილი წყაროებიდან, რომ დასავლეთის საქართველოის სამღვდელოებასაც დაენიშნა 1897 წლიდგან ჯამაგირი. ჯამაგირი დანიშნული აქვს იმისთანა ეკლესიების კრებულთა, რომელთაც სულ არ ქონებია დანიშნული ხაზინიდგან შემწეობა, ან იმისთანა მცირე მრევლიან კრებულთა, რომელთა სამრევლოში ორას მამრის სულზე მეტი არ არის.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე

საუბარი პირველი.

ქრისტეს სარწმუნოებაზედ

არქვთ ასულსა სიონისასა: აჰა ესერა, მეუფე შენი (მათ. 21,5).

(გაგრძელება *).

II

წარვიდენ პირველი საუკუნოები და შვენიერი დრო ქრისტიანობისა, როდესაც იესო ქრისტეს სახელი და მისი სახარება შეადგენდა ხოლმე მაშინდელი დროის ქრისტიანეთა საუბრის უმთავრეს საგანს. იმ დროში იცოდენ, რომ ქრისტიანე კაცის ყოველი მოქმედება უნდა თანახმა ყოფილიყო ქრისტეს მცნებისა, ყოველივე აზრს და მსჯელობას უსათუოდ უნდა ჰქონებოდა საფუძვლად იესო ქრისტე, ვინაიდგან უიმისოთ არ შეიძლება არც ჭეშმარიტი სარწმუნოება, არც წმიდა ზნეობა, და არც ნამდვილი ქველ-მოქმედება. მაშინ სწორეთ ისე ფიქრობდენ, როგორც სწამდათ, და ამის შესაფერად სჯიდენ. ჩვენ უწყით ეს, ვაღვიარებთ, რომ იესო გვრწამს; მაგრამ უმეტესად ისე ვსჯით, თითქოს, სახარება არც კი არსებობდეს, თითქო არც კი ვიცოდეთ იესო ქრისტე. სარწმუნოების ენა გვესმის მარტო ქადაგებაში, ლოცვებში და სასულიერო შინაარსის წიგნებში; სხვა შემთხვევაში კი ძლიერ ძვირად შეხვდებით ვინმეს, რომ ქრისტეს სახელი ახსენოს, თითქოს შვილისათვის სასირცხო იყოს, რომ მამის ენით

* იხილე „მწყემსი“ № 23—24, 1895 წ.

ილაპარაკოს. საოცარი რამ ხდება, ძმანნო! შესაფერად მიაჩნიათ, როცა მხედარი ჩხუბებზე ლაპარაკობს, მსაჯული კანონებზე, სოფლელი მიწის მუშაობაზე, ხელოვანი თავის ხელოვნებაზე: ყველას ნება აქვს ისაუბროს, და თითოეული სიამოვნებით საუბრობს მასზე, რაც შეეხება მის მდგომარეობას და მეცადინეობას. ნუ თუ მარტო ქრისტიანებს სასირცხოდ უნდა მიაჩნდეთ, რომ ქრისტიანულად ისაუბრონ, სასირცხოდ მიაჩნიათ მოიხსენონ თავისი მასწავლებლის სახელი, ისაუბრონ თანახმად ქრისტეს სწავლისა, და ამით დაუმტკიცონ ყველას, რომ იგინი მოწაფენი არიან იესო ქრისტესი?

მე არ ვამტკიცებ, რომ მარტო სახარება უნდა იყოს ყველა საუბრების საგნად, ანუ იესო ქრისტეს სახელი იხმარონ შეუფერებელ ლაპარაკის დროს. მოიპოვებიან საზოგადოებანი, რომლებშიდაც სავსებით უნდა აღასრულო კაცმა უფლის ბრძანებანი „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნურცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, ნუ უკვე დასთრგუნონ იგი ფერხითა მათითა“ (მათ. 7, 6), ვინაიდგან აგეთი საზოგადოებანი გაჰკიცხვენ იმას, რომელიც კი გაბედავს მათ შორის საღმრთო საგნებზე საუბარის გამართვას. არიან ისეთი უბედურნი კაცნი, რომელთაც ეზიზღებათ სახარება და ის პირიც, რომელსაც სწამს სახარება და პატიოსნებაო მიაჩნიათ, როცა დასცინიან ყოველივე პატიოსნურს. მე მსურს, შვილნო ჩემნო საყვარელნო! რომ როცა თქვენ ლაპარაკობთ ბოროტზე და კეთილზე, სიმდიდრეზე და სიღარიბეზე, სიამოვნებასა და მწუხარებაზე, ვინ არის ბედნიერი ანუ უბედური, ყოველიეე ამაების დროს თქვენ გიცნოსთ ქრისტიანებად ქრისტიანული გრძნობებით. მე მსურს, ვიტყვი მზგავსად მოციქული იაკობისა, რომ თქვენ არ ილაპარაკოთ ისე, როგორც დღეს: მაგალითად, „დღეს, გინა ხვალ წარვიდეთ მას რომელსამე ქალაქსა, და დავყოთ მუნ წელიწადი ერთი და ვივაჭროთ და შევიძინოთ“ (4, 13) და სხვა მრავალი საგნები, რომელიც თქვენ გინდათ შეიძინოთ მომავლისათვის, არამედ ყოველთვის იტყოდეთ: „უკეთუ უფალსა უნდეს, და ვსცხონდეთ და ავყოთ ესე გინა იგი» (4, 10). მე მსურს, რომ თქვენს ლაპარაკში და საუბრებში ისმოდეს სიტყვები, რომელიც შეეხებოდენ სარწმუნოებას და კეთილ ცხოვრებას და რომლებშიდაც გამოიხატებოდეს, რომ თქვენ ნამდვილათ ქრისტიანენი ხართ.

სასურველია, რომ თქვენ ხანდისხან მაინც იბაასოთ ერთმანეთს შორის მასზე, თუ რას გასწავლიან თქვენ თქვენი სულიერნი მწყემსნი, იბაასოთ ფსალმუნების და საგალობლების შესახებ, როგორც ამას გვირჩევს მოციქული პავლე; უნდა იბაასოთ მასზე, თუ რა წაიკითხეს სახარებაში და საეკკლესიო წიგნებში, რომ მათთაც გაიგონ რამე, რომელნიც ტაძარში არ ყოფილან წირვა-ლოცვის მოსასმენად. სასურველია, რომ თქვენ სიტყვა-პასუხს ეტყობოდეს სიბრძნე, რომელიც არის იესო ქრისტე. თუ ჩვენ ვაღვიარებთ, რომ ქრისტიანენი ვართ, რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ ქრისტიანული სარწმუნოების ენით.

სწორეთ მოსაწონია, ჩემო საყვარელო მსმენელო, როცა შენ შენს შვილს ასწავლი, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი ქვეყანაზე. „შვილო ჩემო! მოიქეცი ისე, როგორც პატიოსან კაცს შეშვენის, ნურაფერ სიცუდეს ნუ ჩაიდენ, ეცადე, კაი სახელი მოიპოვო, ნუ გაერევი ცუდი კაცების საზოგადოებაში. იყავ მორჩილი, ზრდილობიანი, მზათ იყავ ყველას პატივი სცე, და ასე თუ მოიქცევი, მაშინ ყველა შენი მეგობრები შეგიყვარებენ შენ. ჩემო ასულო! იყავ მორჩილი და გამგონე, ნუ იქნები გაფანტული; გახსოვდეს, რომ ქალს შეშვენის სიწყნარე. თუ ესეები არა აქვს ქალს, მას კარგ ქალს არ დაუძახებენ, რაც უნდა კაი თვისებები ჰქონდეს. მასთან გაბედულათ ნუ დაიჭერ თავს კაცების საზოგადოებაში, ადვილათ ნუ აიტან მათგან რაიმე ხუმრობას, პატივი ეცი შენს თავს, თუ გსურს, რომ სხვამაც პატივი გცეს; ეცადე, რომ შენი სიწყნარით და კეთილის მოქცევით თავი მოაწონო სხვას და არა შენი მორთულობით და გარეგნობით“.

აი ბრძნული რჩევა, რომელიც სწორეთ რომ შეშვენის პატიოსან კაცს! ეს რომ კაი რჩევა არის, ამაში ეჭვი არ არის. მაგრამ კერპთ-თაყვანისმცემელი მამაც ასეთსავე რჩევას მისცემდა თავის შვილებს. ამ შვენიერ დარიგებაში რატომ ერთხელ მაინც არ მოიხსენე, სარწმუნოება? რატომ არ უნდა სთქვა: «შვილო ჩემო! გეშინოდეს ღვთისა და დაიცევ მისი მცნებანი; ეს არის კაცის მოვალეობა და მისი კეთილ ცხოვრებაც ამაზეა დამოკიდებული. რაც უნდა შესანიშნავი მდიდარი იყო, მალე გაღარიბდები, თუ არა გაქვს მადლი იესო ქრისტესი, და რაც უნდა ღარიბი იყო, მდიდარი შეიქნები, თუ გაქვს მადლი

ქრისტესი, სარწმუნოება, შიში და სიყვარული ღვთისა. ვისაც ქრისტე სწამს ჭეშმარიტად, ის რაც უნდა უბედური იყოს ჩვენი შეხედვით, უუბედნიერესი კაცია; ვისაც ქრისტე არა სწამს, იგი უბედური კაცია, რაც უნდა დიდი შეძლების იყოს იგი. რაც უნდა დიდი სწავლა-განათლება ჰქონდეს კაცს, თუ მას არა სწამს ქრისტე, მისი სწავლა-განათლება სიბნელეა და კაცში ჰბადავს უზომო თავმოყვარეობას; ჭეშმარიტი სიბრძნე ითხოვს ვსცნათ იესო ქრისტე. თუ შენ უწყი ქრისტე, ისეთი იქნები, როგორიც გინდა, ყოველივე იმას ისწავლი, რაც კი საჭიროა, ვინაიდგან ქრისტეში არის წყარო ცოდნისა და სიბრძნისა. ამიტომ, შვილო ჩემო, შეიყვარე ქრისტე და ნუ გვრცხვენის, რომ მისი იყო. შენ გაიგებ და შეიტყობ ქვეყანაზე ბევრ წესს, აზრებს, ჩვეულებათ, რომელნიც სრულებით წინააღმდეგნი იქნებიან ქრისტეს სახარებისა, მე ამას წინდაწინვე გატყობინებ; იცოდე, რომ ყველა ესეები არის შეცდომა და ყველა ამაებმა ადგილი უნდა დაუთმონ ქრისტეს სჯულს. ამიტომ, შვილო, ერიდე ცუდი და უპატიოსნო კაცების საზოგადოებას, რომელნიც მტერნი არიან იესო ქრისტეს ჯვარისა. ნუ დაენდობი შენს ქველის საქმეებს, ანუ შენს ძალას, და გახსოვდეს, რომ გარეშე კეთილის ცხოვრებისა არა არს ქველის საქმე, იცოდე, რომ ჩვენ, თუ ჩვენთან არ არის ქრისტე, სრულიად უღონონი ვართ და ცხონების საქმეში არავითარი კეთილის საქმის შესრულება არ შეგვიძლია, თუ ჩვენ წინ არ გვიძღვის ქრისტეს მადლი. იყავ გლახაკთა მოწყალე, ვინაიდგან იგინი არიან უნცროსნი ძმანი იესო ქრისტესი. იყავ ყველას მოსიყვარულე და პატივის მცემელი, ვინაიდგან ჩვენ ყველანი ქრისტეს მიერ ძმები ვართ".

„შენც, ჩემო ასულო, თუ გინდა თავი დაიფარო ამა ამაო სოფლის ზრუნვა-სიამოვნებისაგან, თუ არ გინდა სხვას თავი მოაწონო, არ გიყვარდეს მორთულობა, რომელიც მოსალოდნელია შენს წლოვანებაში და თუ არ გინდა, რომ ამ ნაკლულევანებით შეგამთხვიონ შენ რაიმე ცუდი საქმე, ამიტომ მიაპყარ შენი თვალი შენი მაცხოვრის ჯვარს.

ეს ჯვარი არის ნამდვილი სარკე ქრისტიანეთათვის: ხშირად ჩაიხედე ხოლმე მასში, ვინემ სხვა რამეებში; იმაში შენ შენიშნავ შენი სულის ნაკლულევანებას და ისწავლი გაამშვენო შენი სული და გონება ქრისტიანული ქველი საქმეებით. უმეტესად იკითხე სახარება, ვინემ სხვა გამოგონებული მოთხრობები და ეცადე იქმნე სასიამოვნო ღვთისა და არა კაცთა".

აი ამას უწოდებ მე ქრისტიანულ ბაასს! მე ამ სიტყვებს განგებ ვალაპარაკებ მშობლებს, იმიტომ რომ ბავშვები ხშირად იმათ ბაძვენ ლაპარაკში, ვინც მათ ასწავლის და არიგებს. ყოველივე დამოკიდებულია აღზრდაზე. თუ ყმაწვილებს დაუწყებთ ლაპარაკს სახარების ენით, ისინიც შეიყვარებენ ამ წიგნს და ამ წიგნის სწავლა-მოძღვრების თანახმად მოიქცევიან.

ნეტარი არიან ის ბავშვები, რომელთაც მშობლები უმეტესად სახარების სწავლას უხსნიან, ასწავლიან და ხშირად უმეორებენ: „იყავით არა მარტო პატიოსანი, არამედ ნამდვილნი ქრისტიანენი, მიენდეთ ქრისტეს". რომ ყველა მშობლები ასე არიგებდენ და ასე უვლიდნენ თავიანთ შვილებს, მაშინ, მერწმუნეთ, რომ უფრო ბევრი იქნებოდენ ნამდვილი ქრისტიანები. მართალია, ბევრ პატიოსან კაცებს ვხედავთ, მაგრამ ისინი პატიოსნებათ გვეჩვენებიან მხოლოდ გარეგნობით. მაგრამ მათი გონება და გული ნამდვილ კერპთ თაყვანისმცემელი კაცის გონებას და გულს ემზგავსდება და მათ არ მიუძღვისთ არავითარი კეთილი საქმე.

ძმანო ჩემნო საყვარელნო! გულთა შინა ჩვენთა განუშორებლად უნდა იყოს იესო ქრისტე და მაშინ უფრო ხშირად ვალაპარაკებთ მასზე. ვიფიქროთ ქრისტიანულად და მაშინ ქრისტიანულადაც ვილაპარაკებთ. თქვენ ყველამ უწყით სახარების სიტყვები „რამეთუ ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყვიან" (მათ. 12, 34). როცა ჩვენ გვექნება ის გრძნობანი, რომელიც ჰქონდა. იესო ქრისტეს, მაშინ მისივე ენით ვილაპარაკებთ. მაგრამ არც მარტო ქრისტიანულად ლაპარაკი კმარა; ვინაიდგან ფარისეველნიც კეთილმსახურებითი ენით ლაპარაკობენ. არც ის არის საკმაო, რომ მარტო იფიქრო ქრისტიანულად; ვინაიდგან არიან ბევრი ისეთი პირნი, რომელნიც შვენივრად ფიქრობენ, მაგრამ ძლიერ ცუდათ კი ცხოვრებენ. უნდა ვიქცეოდეთ ქრისტიანულად, ყოველი ჩვენი მოქმედება უნდა ეთანხმებოდეს სახარების სიტყვას, და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ჭეშმარიტად შეგნებული გვყავს ქრისტე და გვაქვს ჭეშმარიტი სარწმუნოება მაცხოვრისადმი.

III.

მართლაც, რა სასარგებლოა ვილაპარაკოთ და ვიფიქროთ, რომ მდიდართათვის ძნელია ღვთის სასუფეველში შესვლა, და ამიტომ სიღარიბე უკეთესია სიმდიდრეზე, თუმცა მე ამავე დროს სულ იმაზე ვფიქრობ, რომ მომეტებული სიმდიდრე შევიძინო, ვაშენებ სახლებს სახლებზე, ვყიდულობ მიწებს? რას მიშველის მე ის ფიქრი, რომ ყოველივე ამაოა, რომ ეს ქვეყანა წარმავალია და ამიტომ უჭკუობაა მუდამ მასზე ფიქრი და დანდობა, როცა, მეორეს მხრით, მე მუდამ იმასა ვცდილობ, რომ თავი გამოვიჩინო ამ ქვეყანაზე, როცა არ შემიძლია შურის თვალით არ უცქირო მათ, რომელნიც ჩემთან ერთად ერთ ტაფაში იწოდნენ, მაგრამ დღეს გაცილებით მსჯობიან მე და უფრო მდიდრებიც არიან ჩემზე?

მე მაკვირვებს წმიდა მამათა სულის სიმშვიდე, გულგრილობა ყოველივე წარმავალის შესახებ, თავისი თავის მოკვდინება, მოთმინება. როცა ვკითხულობ მათ წამებას იესო ქრისტეს სიყვარულისა გამო, მე მათ ნეტარათ ვსთვლი, მეხარბება მათი სვე; მე თვითონ მინდა, რომ მათ ადგილზე ვიყო. სწორეთ რომ შვენიერი გრძნობებია! მაგრამ თუ მე ამ შვენიერ გრძნობაებთან ერთად ვცდილობ შევიძინო ის, რაც ჩემში აღვიძებს თავმოყვარეობას და გრძნობიერებას, და ვერიდები ყოველივე მას, რაც ღალავს ჩემს სხეულს და არ მოსწონს ჩემ გაფუჭებულ ბუნებას; თუ არა მსურს, რომ ცოტა რამ ნაკლებულობაც კი არ მექნეს; თუ მწუხარების დროს არ ვიმჩნევ მოთბინებას და ხან სასოწარკვეთილებასაც ვეძლევი; თუ ვეძლევი მოწყენას, სულ მოკლეობას, ვსაყვედურობ, როცა კანონიერადაც კი ვისჯები; თუ ასე მოვიქცევი, მაშინ როგორღა ვიქნები იესო ქრისტეს მოწაფე?

ნება მომეცით, ძმანნო ჩემნო საყვარელნო, თავისუფლათ გითხრათ თქვენ ჩემი აზრი,-სიმართლე კი არ გეწყინოსთ. როცა მე თქვენ გხედავთ ამ ტაძარში, როცა თქვენ ყურს უგდებთ ღვთის სიტყვას, და დიდებას აღავლენთ, ღვთისადმი, მე ვამბობ ხოლმე გულში: აი ქრისტიანენი! მაგრამ მე რომ უკან გამოგყვეთ სახლებში, გამოვიკვლიო თქვენი ყოფაქცევა ყოველის მხრით, მაშინ ქრისტიანებს ველარ დავინახავ თქვენში. ნაცვლად ქრისტიანებისა ჩემ თვალ წინ მედგომებიან მტერნი ქრისტეს ჯვრისა, მომთვრალენი, ტკბილი ცხოვრების მოყვარულნი, მოშურნენი, და ბოროტი ენის მექონენი. იესო ქრისტეს მოწაფეების ნაცვლად ჩემ თვალ წინ იდგომებიან მოწაფენი ამა ქვეყანისა, ცოდვის მონები, მოსამსახურენი ეშმაკისა.

ეს ნამდვილ ასეც არის; თქვენ ვერას დროს ვერ დამარწმუნებთ, რომ გრწამთ იესო ქრისტე, როცა თქვენ ნაცვლად იმისა, რომ თქვენი ცხოვრება შეათანხმოთ სახარების სწავლას, თქვენ უპირატესობას აძლევთ თქვენს დროებით სარგებლობას, თქვენს სიამოვნებას, თქვენს ზნე-ჩვეულებას, თქვენს მისწრაფებათ. როცა თქვენ ერთი-ერთმანეთს უჩივით, ერთი-ერთმანერთს აშავებთ, ხოცავთ, ძარცვავთ, ცდილობთ ალმოფხვრათ, ჯავრს იყრით თქვენს მტრებზე, არ გინდათ, რომ ცოტა რამ დათმოთ და მათ შეურიგდეთ, ლუკმა პურის მიცემაც კი გეშურებათ საბრალო ქვრივისათვის, რომელიც თავის შვილებით შიმშილისაგან კვდება თქვენი კარების წინ, მაშინ, როცა თქვენი ბეღელ-სასიმიდეები სავსენი არიან და ელით იმ დროს, როცა ნამუშევარს მომეტებული ფასი დაედება; და ბოლოს, როცა თქვენი გული-და გონება ასე გატაცებულია ამა ქვეყნის ამაოებით, თითქო არას დროს არ მოცილდებით ამ ქვეყანას; არ ცდილობთ მოერიდოთ ბოროტს და ჰქმნათ კეთილი, თითქო თქვენთვის საჭირო არ იყოს შიში ანუ გასწორება: ვერ დამარწმუნებთ, რომ თქვენ გრწამდეთ იესო ქრისტე, რომ თქვენ მისი მოსამსახურენი და მოწაფეები ხართ. იესო ქრისტეს მოწაფენი ისინი არიან, რომელთაც სურთ და კიდეც ცდილობენ, რომ ღვთის მადლის შემწეობით მიბაძონ თავის ღვთაებრივ მასწავლებელს და აღასრულონ ის ქველის საქმენი, რომელთა მაგალითი თვით ქრისტემ გვიჩვენა.

მოისმინეთ კიდევ, და მე გავათავებ ჩემ სიტყვას, მოისმინეთ მშვენიერი აზრი წმ. გრიგორი ნოსელისა, რომელიც ქრისტიანებს ადარებს მხატვრებს. „თვითეული თქვენგანი, იტყვის ეს წმ. მასწავლებელი ეკკლესიისა: არის მხატვარი თავისი საკუთარი ცხოვრებისა. ჩვენი სული არის ტილო. ქველის საქმენი არიან საღებავი, იესო ქრისტე არის სახე, რომლიდგანაც ჩვენ უნდა გადმოვხატოთ. სწორეთ მშვენიერი

შედარებაა! მხატვარს აქვს გონებაში, წარმოდგენაში და თვალთ წინ ის საგანი, რომელიც უნდა დახატოს ტილოზე: აგრეთვე ქრისტიანმაც, ყველა თავისი მოქმედების დროს, უნდა მიაქციოს თავის გონება და აზრი იესო ქრისტეს, და როგორც ბეწვის კალამი (кисть), რომელსაც ამოქმედებს მხატვრის ხელი, ამჩნევს ტილოზე სახეებს, იმათ მზგავსთ, რომელთაც ჰპოებს იგი ნიმუშში: აგრეთვე თქვენი ნება, რომელსაც წინამძღვრობს მადლი ღვთისა ქველის საქმეების აღსრულებაში, რომელთაც ხედავს იგი იესო ქრისტეში, ცდილობს დახატოს მისი სახე ჩვენს სულში, და ჩვენც შევიქნებით ქრისტიანები, რომელთაგან ზოგს მომეტებული მსგავსება გვექნება ქრისტესთან და ზოგს ნაკლები. აქედან თავის თავად ცხადია ის, რომ თუ ჩვენ არ გვექნება ქრისტესთან არავითარი მზგავსება, მაშინ ჩვენ არა ვართ მისი მოწაფენი, ჩვენი სარწმუნოება არაფრით არ განირჩევა ეშმაკის სარწმუნოებისაგან; ასეთი ჩვენი სარწმუნოება უფრო სასჯელს მიგვცემს და ბოროტი ქრისტიანენი დასჯილ იქმნებიან უფრო მომეტებულად, ვინემ კერპთ-თაყვანის—მცემელნი. ამ სახით აღაპყარით თვალნი, ძმანნო ჩემნო, და შეხედეთ იესო ქრისტეს, რომელიც არის მიზეზი ჩვენი სარწმუნოებისა. რა მდგომარეობაშიაც უნდა იქმნეთ ჩაყენებულნი, რასაც უნდა მოქმედობდეთ, რაც უნდა ილაპარაკოთ, და რაც უნდა იფიქროთ, შეხედეთ იესო ქრისტეს, რომ თქვენი აზრი და გრძნობანი, თქვენი სიტყვები და მოქმედებანი ემზგავსებოდნენ იესო ქრისტეს აზრს, გრძნობათა, სიტყვებს და მოქმედებას და მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას თქვენზე, რომ თქვენ ქრისტიანენი ხართ. ყოველივე რაც კი არ მიემზგავსება ამ ღვთაებრივ სახეს, უარყოფილ იქნება. თვით იმ სიკეთეს, რომელსაც თქვენ ჩადიხართ არა მიმხედველი იესო ქრისტეს სწავლისა არავითარი მნიშვნელობა არ ექნება ღვთის წინაშე. და გამოსადეგი არ იქნება საუკუნო ცხოვნებისათვის.

მაცხოვარო ჩემო თაყვანის საცემო! მე აღვშფოთდები ხოლმე, როცა წარმოვიდგენ ჩემს უღირსობას ვატარო ქრისტიანე კაცის დიდი სახელი, როცა ვადარებ ჩემ გრძნობათა, ჩემ ენას და ჩემ მოქმედებას შენს სახარებას! რამდენადაც მომეტებულად ჩავიხედავ ჩემს გულში, მით უფრო ვამჩნევ მასში ისეთ გრძნობათა და მისწრაფებათა, რომელნიც სრულებით წინააღმდეგნი არიან შენნი. დამცირება ჩემთვის არის დასჯა, წვალებანი-აუტანელნი; სილარიბე, ჩემის აზრით, ყოვლად საზიზღარი რამაა. მე ვფიქრობ ისე, როგორც ქვეყანა, და მისივე ენით ვლაპარაკობ, თუმცა ვიცი, რომ ყოველივეში და ყველგან მე შენი სახარების წინააღმდეგ ვიქცევი. ოჰ ღმერთო ჩემო! ნაცვლად მისა, რომ შემოგხედო შენ, როგორც მაგალითს, რომელსაც მე უნდა მივბაძო, მე ვიქცეოდი თანახმად ამა უბედური ქვეყნის წესებისა, რომელიც შენ ასე სასტიკად უარ ჰყავი შენი მაგალითებით და შენი სწავლით. თუმცა მე ხანდახან ვაკეთებდი საქმეებს, რომელნიც ღირსნი იყვნენ ქებისა, მაგრამ უფრო მომეტებულად ვმოქმედებდი ანგარიშით, ანუ თავმოყვარეობისა გამო, ვინემ იმიტომ, რომ მომებაძა შენთვის, ასე რომ მე ქრისტიანე არ ვიყავ მაშინაც კი, როცა კეთილ საქმეებს ვასრულებდი, ვინაიდგან ეს საქმეები არ იყვნენ აღვსილნი შენი ცხოველს მყოფელი სულით.

განსწმინდე გული ჩემი, ღმერთო ჩემო! და გარდაქმნენ ყოველივე მისი მისწრაფებანი, რათა მეც ისე ვაზროვნებდე, როგორც შენ, რათა ღაღად ვყო ისე, როგორც შენ, და მუდამ მოვიქცე მცნებათაებრ შენთა! რასაც უნდა ვლაპარაკობდე, რასაც უნდა ვაკეთებდე, ნუ დამავიწყებ, რომ მე ქრისტიანე ვარ, რომ ყოველ შემთხვევაში მე ვაზროვნებდე, ვლაპარაკობდე და ვიქცეოდე ქრისტიანულად, რომ ცხოველი სარწმუნოების მეოხებით შევერთდე შენთან, მაცხოვარო ჩემო, და შენი მადლით გაძლიერებულმა უფრო და უფრო შევიგნო შენი სწავლა და ჩემი მოვალეობანი, მომეც მე ცხოვრება სარწმუნოებრივი, რათა ღირს ვიქმნე სიკვდილ მართალთა სიკვდილით და შემდეგ საუკუნოდ ვიცხოვრო შენთან ცათა შინა!

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ ჟურნალში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები ეკკლესიის სასარგებლოდ შეწირულებათა გამოსაცხადებლად:

I

,,მ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული ,,მწყემსის'' საშვალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც ჩემი თხოვნით საჭირო ნივთები შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ ოჯოლის მიძინების ეკკლესიას. აი შემომწირველთა სია: მაწის მხომელმა სერგეი გაბრიელოვმა და მისმა მეუღლამ ზინაიდამ ეკკლესიის თავზედ დასადგმელი მოვარაყებული რკინის ჯვარი, ღირებული 15 მან., აზ. ევგენი იაშვილმა ერთი ტრაპეზის ჯვარი, ღირებული 3 მან., ვასილ შანიძის ქვრივმა ირინე მაღლაფერიძის ქალმა მისის მეუღლის სულის მოსახსენებლად ერთი დიდი სასანთლე, ღირებული 8 მან., გლეხმა ივანე ცქიფურიშვილმა თავისის მამის იასონის სულის მოსახსენებლად ტრაპეზზედ გარდასაფარებელი ფარჩა, ღირებული 5 მან., გლეხმა ლაზარე ოდილაძემ ერთი ტრაპეზის ჯვარი მისის მეუღლის ანნას სულის მოსახსენებლად, ღირებული 3 მან., გლეხმა იესე მერკვილაძემ თავის მეუღლის ანნას სულის მოსახსენებლად ერთი საცეცხლური, ღირებული 3 მან., გლეხმა მათე გაბადაძემ სანაწილის დასაცველი შკაფი, ღირებული 2 მან., ზედმიწერილის ლაშიის წმ. გიორგის ეკკლ. მნათის სიმონ ბოგვერაძის მეუღლამ გულქანმან 3 მ. ოდიკის ფასად. და სულ 42 მან.

ოჯოლის მიძინების ეკკლესიის მღვდელი
მაქსიმე ლოსაბერიძე.

II

,,მ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ჩემის მხრიდგან ქალაქ თფილისში მოვაჭრეს და ეწერში მცხოვრებს თადეოზ ვას. კალაძეს, რომელმაც შემოსწირა რწმუნებულ ეწერის წმ. გიორგ. ეკკლესიას ერთი ხელი სამღვდელო შესამოსელი გარდა სტიხრისა, ღირებული 30 მან., ერთი ხატი ახალი გამოცემა მ. საბინინისა, ,,საქართველოს ეკკლესიის დიდება'' რამკებით და შუშით მორთული, ღირებული 5 მან., აგრეთვე ღირსია მადლობისა მით, რომ, როგორც აჩვენებს ქონების წიგნი ეკკლესიისა, ჩემი წინა მოადგილის დროსაც შემოუწირავს ამა ლარიბ ეკკლესიისათვის შემდეგი ნივთები: ერთი დიდი სახარება, ერთი სანაწილე ტრაპეზისა, ერთი წყვილი ბაირაღები, ერთი ზარა და რამოდენიმე ხატები სხვა და სხვა, ღირებული თითოეული ხატი ორი მანეთიდან სამ მანეთამდე.

ეწრის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი
ისააკ ახვლედიანი.

III

დავით აღმაშენებლის სასაფლაოს სამლოცველოს გასაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაპოებლად ჩვენ მივიღეთ მღვდლის დავით ქარსელაძისაგან ერთი თუმანი რომელიც მიქცეული არის დანიშნულებისამებრ.

რედაქციის პასუხი.

მამა ალექსი შა—მეს. თქვენს პასუხში ისეთ რამეებზეა ლაპარაკი, რომ მართალი არ არის. მაგალითებრ, სამრევლო სკოლას ჯერეთ პროგრამმა არა აქვსო, კარგი იქნება, რომ სანთლის საწყობიდან მანეთად მისცენ სანთელიო და სხ. საეკლესიო სკოლებს დიდი ხანია რაც აქვსთ თავისი პროგრამმა და სანთელი ყველას შეუძლია გირვანქა მან. მიიღოს საწყობიდან. დანარჩენზე ლაპარაკი აღარ ღირს და მიტომ აღარ ვბეჭდავთ პასუხს პასუხს.

განცხადებანი.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლისაგან.

ქუთაისის სამეურნეო სკოლის მასწავლებელი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ სასწავლებელში მეფუტკრეობას, სასწავლებლის მმართველის ნება-დართვით, აცხადებს, რომ მსურველთ შეუძლიათ მისგან მოიპოვონ საუკეთესო სკები დადანისა და ლაიანსისა თითო ცხრაცხრა მანეთათ. სკოლებსა და დაწესებულებათა კი დაეთმობათ რვა-რვა მანეთათ. ამ სკების სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ მათში ფუტკარი კარგათ ინახება, ადრე შენდება და დონიერდება, წარა-მარა არ იერის, მუშობა უადვილდებათ. ამისთანა სკებში ფუტკრის მოვლა მეტად საადვილოა და სასარგებლო. ერთი ამისთანა სკა უფრო მეტს თაფლსა და სანთელს მისცემს მეფუტკრეს, ვინემ ათი და თუთხმეტი როფის სკა. მდვდლებსა და სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის სწორეთ საჭიროა ამისთანა სკის ქონება. საკმაოა ერთი ეს სკა სანიმუშოთ, ამ სკის მიხედვით მერმე თვითონ იაფათაც შეუძლიათ გაიკეთონ.

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 »
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3 »

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მეჭაროვთან; **სოჩხერეში**—ყარაულ ჩხეიძესთან; **ახალციხეში**—დეკანოზ დ. ხახუტოვთან **ახალსენაგში**—სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ სპირდონ ან. მატარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიბთ გაზეთები **დაეთმობათ** მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქციას აქვს **კანტორები: ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** **რედაქტორის** საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთა ژურნალის **დაბარება** შეუძლიან ამ **ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

1897 წლის «მწყემსი»-ს

ხელის მომწერთათვის საჩუქრათ დანიშნულია

რედაქციისაგან

გუკრები,

შედგენილი პროფესორის ალ. ხახანაშვილისა და გამოცემული „მწყემსი“-ს რედაქციისაგან.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: მშობლების და აღმზრდელების საყურადღებოდ.—წლის მოხსენება განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა.—სასიამოვნო ამბავი.—სოფლის ცხოვრებიდან.—საქართველოის ძველი დროის თავგადასავალი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და **მეცნიერება ქრისტიანოზგრივ სარწმუნოებასა** და **აღთილ-ზნეობაზე:** საუბარი პირველი, ქრისტეს სარწმუნოებაზე.

— შეწირულებანი.—რედაქციის პასუხი.— ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლისაგან.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 12 февраля 1897 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакціи журн. **„Пастырь“** (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананoвыхъ, на Нѣмецкой ул.